ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

იოანეს სახარება

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი: №57/1–180

№2 (18) მარტი, 2003 წელი ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

ცაგერის რაიონის სოფელ ლასურიაში მეწყრის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად ასიგნებების გამოყოფის შესახებ

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (მ. გოგიაშვილი) ცაგერის რაიონის სოფელ ლასურიაში მეწყრისაგან დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების გასაწევად და სხვა გადაუდებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან რაიონის გამგეობას გამოუყოს 228 (ორას ოცდა რვა) ათასი ლარი, მათ შორის:

ა) 21 ოჯახისათვის (საცხოვრებელი სახლების პირველი კატეგორიის დაზიანებით) თითოეულზე—3 (სამი) ათასი ლარი;

ბ) მეწყერის საფუძლის გამაგრებითი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საძრენაჟო და საწრეტი არხების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის—30 (ოცდაათი) ათასი ლარი;

გ) სოფელ ლასურიაშთან მისასვლელი გზების, ხიდებისა და კომუნიკაციების აღსადგენად—40 (ორმოცი) ათასი ლარი;

დ) განათლების სფეროს ობიექტებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მეწყერისა და წყალდიდობებისაგან დაცვის მიზნით ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის—60 (სამოცი) ათასი ლარი;

ე) საწვავ-საცხები მასალების შეძენისა და საგრანსპორტო მომსახურებისათვის—15 (თხუთმეტი) ათასი ლარი;

ვ) ახალი სასაფლაოს მოწყობისა და მიცვალებულთა გადასვენების ხარჯებისათვის—20 (ოცი) ათასი ლარი;

2. ამ განკარგულების შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს პრეზიდენტს რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახურმა.

ედუარდ შევარდნაძე

2003 წლის 13 მარტი

ქ. თბილისი

სიმოთხე იყო დედაყმაშ დაგვიყარეინა,
სანმისი იყო დედაყაყმაშ დაგვიყაოგვინა,
დანაძაოლი—თო ვიყვარდე, ძალი რა გინდა,
სიძაგიროდ, დიაყმაძე გვიძაე იესო.
სიძაგიროდ, დიაყმაძე გვიძაე როსთველი,
ეს კი ძე ძვონი, თო ძენყ იყვი
ყოყან ან ნიშნაეს.

მეხრიან მიჭიკარიანი

გვილოცავენ მამაკაცები

ძვირფასო ქალბატონებო!

მოგილოცავთ გაგაუზულს, გაგაუზულის დღესასწაულებს. დაე, გაგაუზული დამკვიდრებულიყოს თქვენს სულში, თქვენს ოჯახებში, თქვენს მამულში.

ამჯერად ვარღვევთ ტრადიციას და სურვილი გაგვიჩნდა ქალებს სხვადასხვა თაობის მამაკაცებმა მოგილოცონ, რომელთაც ერთი მარტივი კითხვით მივმართეთ:

რა არის ქალი თქვენთვის საგოგადოდ?

შალვა ცვარიანი:

ალბათ, ამყაროს შემოქმედმა მამაკაცი ერმა თავისი ტიტანური შრომა საოცარი ქმნილების—ადამიანის შექმნით დააგვირგვინა, მას მიანიჭა ადამის მოდგმის გაგრძელების უნარი და სიყვარულის მომხიბლავი, საოცარი ძალა.

ქალის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია და მის გარეშე საზოგადოებაც ვერ იარსებებდა. ამიტომაცაა მისი ღვაწლი ფასდაუდებელი, ამიტომ იმსახურებს საყოველთაო პატივისცემას და სიყვარულს.

ქართველ ქალებს ვუსურვებდი ღირსეულად მოეხადოთ დედობის წმიდათაწმიდა ვალი—აღეზარდოთ მომავალი თაობა სახელოვანი წინაპრების ტრადიციებზე.

ზურაბ ხეცურიანი:

ვგონებ, ეს კითხვა არც უნდა დაისვას. ქალი ხომ საოცრებაა, სიცოცხლის დედაა, სიყვარულის ობიექტი, სილამაზეა და შევარცხვინე ის მამაკაცი, მხოლოდ 2 დღეს რომ თვლის ქალის დღედ. ქალებს უნდა ეკუთვნოდეს ყოველი დღე და ეკუთვნის კიდეც. მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, სახარებაში რომ წერია: ქალი უნდა ემორჩილებოდესო კაცს.

თქვენ კარგად გახსოვთ როგორ აღინიშნებოდა ქალთა დღესასწაული ჩვენს რაიონში, გვაქვს ამის მშვენიერი ტრადიცია.

ძვირფასო ქალბატონებო! არა მარტო ტრაფარეტული მოლოცვით, არამედ მინდა შინაგანი სიყვარულით ყველა დედას სიკეთე და ბედნიერება გისურვოთ, ყველა მეუღლეს—ოჯახის სიმტკიცე, თითოეულ თქვენთაგანს დიდი სიყვარული და ქალური ბედნიერება, რამეთუ ამ დაძაბულ ვითარებაში სწორედ სიყვარულმა უნდა გადაგვარჩინოს. მე, როგორც რაიონის ხელმძღვანელს, დიდი იმედი მაქვს თქვენი მხარდაჭერის, იმ შეცდომების სულგრძელად პატიებისაც, რომლებიც არ შეიძლება საერო ხელისუფლებამ არ დაუშვას. ლეჩხუმის უკეთესი ხვალის მისაღწევად სამომავლო გზების ძიებაში თქვენი თანადგომისა და აქტიური თანამშრომლობის იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა.

მამუკა ლეთოდიანი:

ათასგვარი პრობლემისა და გაჭირვების მიუხედავად, კაცს სურს ბედნიერი და უკვდავი იყოს. ბედნიერება და უკვდავება კი სიყვარულისა და ქალის გარეშე არ არსებობს.

თამაზ ბენდელიანი:

მე მგონი, ქალის ფენომენი ამოუწურავია, პირდაპირი პასუხი—ეს ფენომენი ახსნას, არა მგონია ვინმეს ჰქონდეს.

ზოგადად, ქალი მამაკაცისთვის პატივისცემის, მოწიწების ობიექტი უნდა იყოს. ორ მოსისხლე მტერს შორის ქალი რომ მანდილს ჩააგდებდა... ეს ტრადიცია არა მგონია სხვა ერშიც ფიგურირებდეს. სხვა მხრივ, ქალში მე ვგულისხმობ დედას, დას, მეუღლეს და თუნდაც პაწია ქალბატონებს—ჩემს შვილებს, რომლებიც მინდა კარგი ქალები გაიზარდონ, ქართველ-ქალობა რასაც ჰქვია.

(გაგრძელება მე-5 გვ.)

ძვირფასო

ქალბატონებო!

ქალის მადლითა და ლოცვით გადაურჩა საქართველო ისტორიულ კატაკლიზმებს, არამარტო გადაურჩა—შეინარჩუნა თვითმყოფადობა, ენა, რწმენა. ასეთია ქართველი ქალის ისტორიული მისია და ტვირთი.

არ გადავაჭარბებთ და ნაკლები ძნელბედობის ჟამი როდი გვიდგას დღესაც. საქართველოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში დიდია თქვენი მისია, ძვირფასო ქალბატონებო.

მოგილოცავთ გაზაფხულის შემობრძანებას, სიცოცხლის გაღვიძებას, დედის ლამაზ დღესასწაულს. გაზაფხულის სილამაზე და სიხალისე არ მოგკლებოდეთ; ბედნიერება, სიხარული, შვილთა სიმრავლე დამკვიდრებულიყოს თქვენს ჯერქვეშ და სრულიად საქართველოში.

ცაგერის რაიონის
გამგეობა

ყანწასაღეჯა

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო გაიპარა რამდენიმე ტექნიკური შეცდომა, რისთვისაც გიხდით ბოდიშს.

რედაქცია

მოახლოვდა წყალდიდობის საშიშროება...

დადგა გაზაფხული, მოახლოვდა მოსალოდნელი წყალდიდობების საშიშროებაც. ცნობილია, რომ ამ ზონაში მდებარეობს სოფელი ჭალისთავი. საქმის კურსში იმყოფება სახელმწიფო მინისტრი, აგრეთვე მხარის გუბერნატორი.

ამ საკითხის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ ცაგერის რაიონის გამგებელს ბატონ ზურაბ ხეცურიანს.

—ყველაზე საშინელი სტიქიური უბედურება, რომელიც რაიონს შეიძლება დაატყდეს თავს, მოსალოდნელი წყალდიდობაა. საშიშროება მხოლოდ სოფელ ჭალისთავს არ ემუქრება. შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების დასკვნების საფუძველზე, წყალდიდობა მოსალოდნელია თვით ქალაქ ცაგერში, სოფლებში: ჭალისთავი, ლარჩვალი, წიფერჩი, ლასურიაში, ჩხუტელი, ორბელი, ლაცორია, სპათაგორი, ლაჯანა. სავარაუდოდ, რისკის ქვეშ იმყოფება ასზე მეტი კომლი, გზები, ხიდები, სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტები და ინფრასტრუქტურა. წალეკვა უმექრება ათეულ ჰექტარ მაღალმოსავლიანი ჭალის სავარგულებს. საშიშროებას კიდევ უფრო ზრდის სინოპტიკური მონაცემები. მაღალ მთაში თოვლის დიდი საფარია, მოსალოდნელია თბილი და წვიმიანში გაზაფხული, რომელიც თოვლის მასიურ დნობას და უცაბედ წყალდიდობებს გამოიწვევს. აღნიშნული იმის შედეგია, რომ რიგი ობიუქტური თუ სუბიექტური ფაქტორების გამო ბოლო ათი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სამუშაოები არ განხორციელებულა წყალდიდობის და მისი თანმდევი სტიქიური მოვლენების თავიდან აცილების მიზნით. საუბედუროდ, ქვეყანაში შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო ხელისუფლება ვერ ახორციელებს პროფილაქტიკურ-დამცავ საშუალებებს. არადა, სტიქიის შემოტევის შემდეგ გაცილებით მეტი ასიგნებანი იხარჯება. თუ დღეს აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტას რამდენიმე ათეული ათასი ლარი დასჭირდება, დაგვიანების შემთხვევაში მას მილიონებით არ ეყოფა. მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი, რომ რაიონის ეკონომიკური შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია და ჩვენი ბიუჯეტის პირობებში პრობლემის გადამჭრელი მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება შეუძლებელია.

აქედან გამომდინარე, რაიონის ხელმძღვანელობა წლების განმავლობაში სვამს ამ საკითხს ცენტრალური ხელისუფლების წინაშე, შეიქმნა სამთავრობო კომისიები, რომლებმაც ადგილზე დაათვალიერეს მდგომარეობა და დაგვეთანხმნენ პრობლემის სასწრაფო და გადაუდებელი მოგვარების აუცილებლობაში. საქართველოს პრეზიდენტის, სახელმწიფო მინისტრის რამდენიმე სარეზოლუციო განკარგულება არსებობს. მიმდინარე წლის 20 იანვარს სახელმწიფო მინისტრმა სპეციალურ თათბირზე იმსჯელა პირველი რიგის გადაუდებელი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობაზე, სადაც გათვალისწინებულია, რომ ნაპირსამაგრი სამუშაობისათვის უნდა დაიხარჯოს 450 ათასი ლარი, საავტომობილო გზების აღდგენისათვის 983 ათასი ლარი, ბიუჯეტის სპეცტრასფერში ამ მიზნით გათვლილია 25 ათასი ლარი, შესაბამის დავალებები მიეცა სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტს. დაჩქარდა და გადაწყვეტის ფაზაში რაიონზე მძიმე, „კამაცოს“ ტიპის ტრაქტორის ვალ. მოცემის საკითხი, რომელიც უნდა გაწმიდოს შლინარქების ცხენისწყლისა და ლაჯანურის ხეობები, მაგრამ რესპუბლიკაში შექმნილი ფინანსური სიძნელეების გამო აღნიშნული სამუშაოების სრული დაფინანსება ფერხდება, ამიტომ რაიონული გამგეობის ხელმძღვანელობის ადგილობრივი ძალებით უნდა გაკეთდეს ყველაფერი, რომ სტიქიის პირველ შემოტევას გავუძლოთ. მოსახლეობის დახმარებით უნდა შევძლოთ ამრიდი ჯებირების მოწყობა, არსებული საშუალებებით განვახორციელოთ სხვა ნაპირსამაგრი სამუშაოები. ყველა ამ სამუშაოს სათავეში ადგილობრივი საკრებულოები უნდა ჩაუდგნენ, იმედი გვაქვს, რომ მოსახლეობა გაგებით შეხვდება არსებულ სიძნელეებს და მხარში დაგვიდგება, რათა თავიდან ავიცილოთ სტიქიის დამანგრეველი შემოტევა.

თამარ დავითულიანი

ინტერვიუ

ჭედნიერებაა, მსახურებოდე შენს ხალხს

ამ ქალბატონთან ჩვენი შეხვედრა შემთხვევითი არ ყოფილა. ეს ბევრმა რამემ განაპირობა... პირველ რიგში კი მისმა ქალურობამ, პროფესიონალიზმმა, რომლის აფიშირება მას არასოდეს ნდომებია.

ათეულ წელზე მეტია, რაც ქალბატონი ნარგიზა ჭაბუკიანი, ცაგერის რაიონის საავადმყოფოში ბავშვთა განყოფილებაში გამგედ მუშაობს. თავისი საქმის დიდოსტატი ყოველგვარი ანგარების გარეშე ემსახურება მის პროფესიას, რის გამო ბევრი მადლიერი ჰყავს.

პარალელურად, ჩვენი საუბრის დროსაც არ ღალატობდა იგი სამუშაო რიგმს და ჩვეული ენერგიით განაგრძობდა პაგარა პაციენტებს მიღებას.

ქალბატონი ნარგიზა საკუთარ თავთან „შეხვედრის“ დროს ძალზედ მოკრძალებული აღმოჩნდა. ეს მისი სულის თვისებას__თავმდაბლობას მივაწერეთ და ასეცაა.

__როგორ მოხდა, რომ არჩევანი ექიმის პროფესიაზე შეაჩერეთ, ეს ბავშვობის ოცნება იყო თუ შემთხვევითობა?

__არა. ალბათ, არც ერთი და არც მეორე. უფრო მშობლების გადაწყვეტილებით ჩავაბარე სამედიცინო ინსტიტუტში. თუმცა დედაჩემი იმასაც მეუბნებოდა „შენ, ერთი ჩვეულებრივი ოჯახისშვილი, მარტო შენი ცოდნით იქ ვერაფერს გახდებიო“. მაშინ ხომ ყველაფერი ნაცნობობით კეთდებოდა...

__რას წარმოადგენს თქვენთვის პროფესია?

__ჩვენი სამუშაო მძიმე და სპეციფიკურია. ხანდახან ოცდაოთხი საათის განმავლობაში გვიწევს მუშაობა. მე, როგორც ექიმს, არ მაქვს უფლება ჩემამდე მოსულ ადამიანს არ დავეხმარო. ასეთ დროს ღმერთი თითქოს ენერგიას მმატებს.

__თქვენი სამუშაო პიროებები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პრობლემები.

__ახალ შენობაში გადმოსვლის შემდეგ ბევრი პრობლემა მოგვარდა. თუმცა საჭირო ტექნიკის უქონლობა ჩვენს მუშაობას ძალზე აფერხებს. არ გვაქვს ელექტროამომწოვი აპარატი. სხვადასხვა გამოკვლევების ჩატარებას ადგილზე ვერ ვახერხებთ, რის გამოც იძულებულნი ვართ ქუთაისში გავგზავნოთ პაციენტები.

__ზოგიერ მშობელს არ აქვს ბავშვის მკურნალობის საშუალება, თუ არის ამ მხრივ რაიმე შეღავათები? და შემოდის თუ არა თქვენთან ჰუმანიტარული დახმარება?

__საერთოდ, ჩვენთან 0-3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის მკურნალობა უფასოა. ამ თანხას ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული სადაზღვევო კომპანია იხდის. რაც შეეხება ჰუმანიტარულ დახმარებას, წლებია, არანაირი მედიკამენტი ჩვენთან ამ სახით არ შემოსულა.

__როგორია თქვენი ანაზღაურება?

__ჩვენთან ეს გამომუშავებით, ავადმყოფების რაოდენობის მიხედვით ხდება. ექიმის ხელფასი ხშირად 70 ლარს, ხოლო მედდის 25-30 ლარს აღწევს. რა თქმა უნდა, ვერ ხერხდება თანხების დროზე გადმორიცხვა. აგერ, უკვე მარტის თვე საცაა მიილევა და ჩვენ იანვრის თვის შემდეგ ხელფასი არ მიგვიღია.

__ხომ არ გაიხსენებდით თქვენი მუშაობის მანძილზე რაიმეს, რომელიც განსაკუთრებულად დაგამახსოვრდათ?

__10 წელზე მეტია, ჩვენთან ბავშვის სიკვდილი არ დაფიქსირებულა და ღმერთმა დაგვიფაროს ამისგან. მახსენდება ერთი ასეთი შემთხვევა. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, ჩვენდა საუბედუროდ, განყოფილებაში ბავშვი გარდაიცვალა და ამის გამო მთელი მედპერსონალი ბიუროზე გაგვიყვანეს.

__თქვენ წარმატებით დაამთავრეთ სკოლა, ინსტიტუტი. გქონდათ მანსი, უკეთ მოგეწყოთ თქვენი ცხოვრება. ხომ არ ნანობთ?

__ხანდახან მწყდებოდა გული, უფრო ადრე. ღღეანდელი გადასახედიდან კი არ ვნანობ. იმაზე დიდი ბედნიერება არაფერია, ემსახურებოდე შენს ხალხს, შენს რაიონს.

__თქვენ ეკლესიის აქტიურ მრევლს მიეკუთვნებით. რამდენად გიადვილებთ ეს მუშაობას?

__თანდათან ვრწმუნდები, რომ განგების გარეშე არაფერი ხდება. არის შემთხვევები, როცა ჩვენ უძლური ვართ ავადმყოფობის წინაშე, მაგრამ ღვთის ძალით პაციენტი გამოკეთებულა. ეს, მართლაც, სასწაულია.

__რა გაღიზიანებთ ყველაზე მეტად?

__მაღიზიანებენ უპასუხისმგებლო მშობლები, რომლებიც ბავშვებს დანიშნულების მიხედვით არ მკურნალობენ. აი, მაშინ ადვილად გამოვდივარ წონასწორობიდან.

__ქალბატონო ნარგიზა, თუ დაგრჩათ გულში რაიმე ისეთი, რომელიც ვერ თქვით?

__ყველა დედას ვუსურვებ ჯანმრთელ შვილს. ხანდახან, ასე რომ ვიგყვი, მეუბნებიან თქვენს სამსახურს ხომ გაუქმება დაემუქრებოდაო. მთავარია, მშვიდობა, ჯანმრთელობა იყოს და ჩვენ სამუშაო არ მოგვაკლდება.

__გმადლობთ.

* * *

ჩვენც ვუერთდებით ქალბატონ ნარგიზას სურვილებს. თავად მხნეობას, შემართებას, ქალურ ბედნიერებას ვუსურვებთ.

ეკა ყვირილიანი

„ფიქრები აფხაზეთზე“__ახლა დასათაურებული ავტორეული ლექოლვილი თეონა სილაგაძის რვეულები. ამოდენა ტკივილი რომ ეკრძნო, თეონ ხრულიად ახალგაზრდა ამისათვის. ეროვლიანი სტრიქონები, არამოუშუშებელი ბავშვობამენყვეტილი რეალობა, მაძის დაკარგვის ელდა, მაღე დამრუნების, მტერზე გამარჯვების იმედი...

გთავაზობთ რამდენიმე ნანყვეტს მისი ჩანახატებიდან და ლექსებიდან:

გვახსოვდეს აფხაზეთი!!!

„საღამოა. ჰორიზონტზე, იქ სადაც სხვა და ცა ერთიანდებიან, საოცარი სინატიფით იღვრება წითელი ფერი. მზე ჩადის, მის მოელვარე სხივებს ნაპირთან ბილიკი გაუბამს. ბილიკი, რომელიც სიმშვიდეს, სიყვარულსა და სითბოს გვპირდება. იქვე, ნაპირთან პალმის ქვეშ პატარა გოგონა დგას. დგას და ფიქრობს, ფიქრობს იმ გაუგებარ სიტუაციაზე, რომელმაც შეაშფოთა მის ირგვლივ მყოფი ხალხი, გავიდა დრო. გავიდა... გოგონას საოცარი სიცხადით დარჩა გონებაში სევდისმომგვრელი ეპიზოდები...

აფხაზეთის მთავრობის სახლი. ოდესღაც ხალხით სავსე მოედანზე ქართველთა ომახიანი შეძახილები. მთავრობის სახლის თავზე მჯდომი მტრედები და მოფრიალე დროშა. ასეთი იყო სოხუმი დაცემის დღეს.

მერე?!... მერე საიდანღაც ტანკები გამოჩნდნენ“...

...და გამოყოლილი სევდა:

„დღეს უქართველო ზღვისპირა აფხაზეთში ღუღუნებენ წითელფეხება მტრედები, რომლებიც გოგონას არ სცილდებოდნენ გაჭირვების ჟამს და საიმედო მშვიდობიანი განწყობით ელოდებიან მის მობრუნებას, ხვალინდელი დღის იმედებს უსახავენ გადახვეწილ ქართველობას, რომლებსაც თვალებში დღემდე ცრემლი არ დაშრობიათ სასოებისა და სიმწარის“.

...და იმედი დიდი და ვარდისფერი.

„მჯერა, ყველა ქართველსაც სჯერა, რომ ნაბრძოლ მიწაზე თუ ომის ტფია ცაში სიმწრის ცეცხლს ანთებდა, მალე დაბრუნების, მტერზე გამარჯვების სიხარულით ანთებულ ტფიათა კორიანტელი ჩაუქრობელ და მუდმივად მოგიზგიზე ალის აღმართავს ადრე ცრემლით დასეტყვილ ცაზე, რომ ვერავინ ჩააქრობს. ქართველი და აფხაზი ბედნიერების სასმისს ერთად დაცლიან და მარადიულ ფიცს დადებენ თავისუფალი საქართველოს ასაშენებლად. მათ ნაკვალევზე ქართველთა თაობა გაივლის!“

მამას

როცა ტოლებში ვახსენებთ მამებს
ცა გამეხსნება მაშინ.
ვერავინ მეტყვის მე ისეთ რამეს
ცრემლი მომადგეს თვალში.
ცრემლი მომადგეს, თავი დავბარო
სინანულით და წყენით...
ო, როგორ მინდა კრძალვით გახარო__
მუდამ ვამაყობ შენით,
ტრიალებ ქვეყნის მაშვრალთაგანი
და არ გაშინებს დაღლა...
მეამაყები მხოლოდ ამგვარი
როგორიცა ხარ ახლა.
ვიცი, ხანდახან გიმძიმს ძალიან
ამოიკვნესებ წამით.
იჭნებ ეს ზოგჯერ ჩემი ბრალია
და მაპატიე მამი!
დედას რომ უფრო ვეალერსები
გაჯავრებული ნუ ხარ...
არ იწერება თქვენზე ლექსები
და მე ამაზეც ვწუხვარ.
ნელინელ მიდის წლები, მზის წლები
და შენ მახსოვხარ მარად.
მიფარხარ! დედის გულს გეფიცები
ჩემო ვაჟკაცო, მამავ!

ეს წერილები თეონას ბებიამ ათრთოლებული ხელებით კარგა ხნის უკან მოიტანა, მაგრამ მხოლოდ ახლა შევძელით მისი დასტამბვა. ჩვენი გაზეთი თეონა სილაგაძეს ყველაზე სანუკვარი სურვილის __ აფხაზეთში დაბრუნების__ასრულებას უსურვებს.

მარინა სვანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი? უნდა ვეძებოთ!

მსოფლიო ამერიკა-ერაყის ომითაა შეშფოთებული. საზღვრაგარეთიდან ნაჩვენებ კადრებში ერთმა ფაქტმა მიიპყრო ყურადღება__ბომბების მოლოდინში მთელი ბაღდადია გაჩახჩახებული. სიმართლე გითხრათ__გამაკვირვა ერაყლთა ვაჟკაცობამ. ჩვენთან კი (საღამოს უფროსმა მრავალი მიზეზი ჩამოასახელა:__„უპირველესად გადაუხდელობა. გრაფიკის მიზანია შემცირდეს ელექტროენერგიის გადასახადის რაოდენობა და მოიხმაროს მოსახლეობამ ის საჭირო ელექტროენერგია, რისი გადახდის საშუალებაც სინამდვილეში აქვს, რათა არ დადგეს რაიონი მთლიანი გამორთვის საშიშროების წინაშე. ენერგობაზარი ყოველ წუთში გვემუქრება გამორთვით. თებერვლის თვის შედეგების განხილვის შემდეგ ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა მთელ რიგ რაიონებს, მათ შორის ცაგერსაც. მარტის პირველ რიცხვებში თუ გვქონდა ელექტროენერგია, ეს ლაჯანურჰესის თანამშრომელთა დამსახურებაა, თუმც ჩვენ ამ დროისათვის ბაზრის განკარგულებით გამორთულთა სიაში გვიწერეთ. ამის შემდეგ მთავარმა ენერგოკომპანიამ აიღო კრედიტი, დაფარა ბაზრის დავალიანება და დენის მიწოდება აღსდგა თითქმის ყველა რაიონში. გრაფიკის სისტემა მუშაობს მთელ საქართველოში და რა თქმა უნდა ჩვენთანაც. ეს გრაფიკი ასეა შედგენილი__დილით 7 საათიდან 10 საათამდე, საღამოს 18 -დან პირველამდე.

ჩვენი საუბარი მოსახლეობიდან დახარჯული დენის საფასურის ამოღებასაც შეეხო და რა თქმა უნდა აქცენტი იმ ხუთ ლარებზეც გამახვილდა, რომელიც გამგეობის გადწყვეტილებით ყველა მოსამსახურეს ეკვეცება ხელფასზე და იმ სამ ლარზეც, რომელსაც თოთხმეტლარიან პენსიონერს ყველა პენსიაზე ატოვებინებენ. როგორც ბატონ ცაგუსთან საუბრისას შევიტყვეთ ეს თანხა, რომ იტყვიან „ზღვაში წვეთია" იმასთან შედარებით, რასაც სინამდვილეში რაიონი უნდა იხდიდეს__„ხელფასებიდან და პენსიებიდან მოკრებილ თანხებთან ჩვენ არანაირი შეხება არ გვაქვს. იგი პირდაპირ სპეციალურ ანგარიშზე ირიცხება და ასევე პირდაპირ თბილისში, ენერგოკომპანიის ანგარიშზე ჯდება. ჩვენი საუბანგარიში მხოლოდ ტრანზიტის ანუ გადამგზავნის როლს ასრულებს. თებერვლის თვეში 130500 ლარის დენი მოვიხმარეთ. თქვენს მიერ ნახსენებმა ე.ი. ხელფასებიდან და პენსიებიდან შემოსულმა თანხებმა კი სულ 11200 ლარი შეადგინა. რაც 10%-იც კი არ არის. ერთადერთი, რაც შემიძლია თამამად ვთქვა, ეს არის ლტოლვილების თანხა, რომელიც გეგმაზომიერად ირიცხება, ასევე ამერიკული პროგრამა „იუსაიდის" მიერ რაიონის 200 მოსახლეს გაეწია შეღავათები, ისიც დროზე ჩამოირიცხა. რაც შეეხება ომის ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირების შეღავათებს, რომელიც ბიუჯეტიდან უნდა გვეძლეოდეს, ჯერ ერთი თეთრიც კი არ ჩამორიცხულა. არ ვიცი რატომ, მაგრამ მგონია, რომ მოსახლეობა არასწორად აღიქვამს გადახდის აუცილებლობას__თუ გინდ ორასი ლარი დახარჯოს, თუ 3-5 ლარს გადაიხდის მოვალეობაც შესრულებული ჰგონია. ასეთი დამოკიდებულებით შორს ვერ წავალთ, მუდამ პრობლემები გვექნება. ყველა უნდა შეეგუოს იმ აზრს, რომ



რასაც დახარჯავს იმის შესატყისი თანხა თუ არ გადაიხადა, შუქი არ ექნება. ორ-სამ ლარიანი გადახდა არის ზღაპარი, ამით შუქს ვერ შევინარჩუნებთ... ღამით რომ გაიხედოთ იმდენი უმიზნო ნათურა ანათებს, ელემენტარულად გული გეტკინება. საჭმლის მომზადება, პურის გამოცხობაც ხომ ელექტროენერგიის ხარჯზე ხდება და თუ მომჭირნედ მოვიქცევით, შეიძლება ის ყბადაღებული ხუთი ლარი საკმარისიც აღმოჩნდეს."

სამმართველოს უფროსი კომპეტენტური წყაროების მოშველიებით გვიხსნიდა არსებული მდგომარეობის შუქ-ჩრდილებს. ისიც შევიტყვეთ, რომ ენერგობაზარს ესპანელები თავკაცობენ, ელექტრო სისტემას ირლანდიელები, ენერგოკომპანიაში კი თურმე ამერიკელები შემოდიან და მალე, რომ იტყვიან საქმე ასე წავა-მოწესრიგდება აღრიცხვიანობის სისტემა და ვინც გადაიხდის შუქიც მას ექნება. მოსალოდნელია ცვლილებები ტარიფშიც, რადგან უცხოტომელის ინტერესი და თანხის გაღება იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ფეხს ფეხზე შემოვიდებთ და ყველაფერი ვარდისფრად მოგვეჩვენება. უცხოელ ინვესტორს ის უფრო აინტერესებს თანხა მოგებითურთ უკან ამოიღოს, ვიდრე ჩვენ გვაცხოვროს ფუფუნებაში. ბატონმა ცაგუმ ისიც აღნიშნა, რომ თურმე ფრანგები, რომლებიც ლაჯანურჰესში ატარებენ სარეაბილიტაციო სამუშაოებს, შეიძლება შეჩერდნენ, რადგან მათ მიერ იაპონიიდან აღებული 18 მილიონი დოლარის კრედიტის ამოსაღებად ტარიფის გადიდება შეიძლება გახდეს საჭირო. თურმე, თუ ეს პირობა არ შესრულდა, არავინ უწყის რა დროს მიგვატოვებენ შუა გზაზე. როცა სახელმწიფო უცხოელებთან კონტრაქტს დებს თავშივე ჩადებულია, რომ წელიწადში ორჯერ, აპრილსა და ოქტომბერში აქვთ ტარიფის გადასინჯვის უფლება. ასე რომ, დავხარჯავთ? უნდა გადავიხადოთ!

ჩვენი ვიზიტისას ერთ საინტერესო ამბავსაც შევესწარით__ლაჯანურჰესიდან სატელეფონო კონტაქტზე გამოსულ პროფკავშირების თავმჯდომარეს (როგორც ყოველთვის) ათი წუთის მანძილზე სთხოვდნენ შუქის ჩართვას ქირურგიული ოპერაციის გამო. მან კი თხოვნაზე ცივი წყალი გადაგვასხა. რადგან, როგორც ვიზუალურად ჩანს, ის უფრო მართავს იქაურობას, ვიდრე დანარჩენები.

ბოლოს, როგორც ჩანს, ხვეწნა-მუდარამ მაინც გაჭრა, რადგან ამ საქმეში გამგებელი, ბატონი ზურაბ ხეცურიანი ჩაერია. როცა ენერგოკომპანიის შენობას ვტოვებდით, ნათურა უკვე ანათებდა, ხოლო შემდეგი ორი კვირის მანძილზე მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

მარინა სვანიძე

„ვეიწნო, ვაჟეულის ვაღიღნო"

სპა



დღეს საქართველოში უხეშად, რომ ვთქვათ „მოდაში" აღარაა სამხედრო სავალდებულო სამსახური. მისი „აუცილებლობაც" თითქმის ბოლოხარისხოვანია. არადა ჰაერივით სჭირდება ქვეყანას სამხედრო სპეციალისტი__მარად ფხიზელი, რომელიც, როგორც დიდი კონსტანტინე ბრძანებს, „მტერს უდარდელად მოაჩვენებს თავს".

არსთა გამრიგემ ლუჩხუმელი გიორგი დადაშის ძე მეშველიანი იშვიათი ნიჭით დააჯილდოვა, ურთულესი, უმძიმესი განვლო გზა, რომელიც კარგ სპეციალისტს ჩამოგიყალიბებს ამ სფეროში. გიორგის ბავშვობიდანვე იზიდავდა შალვა ახალციხელის, გიორგი საკაძის, დავით აღმაშენებლის და სხვა სახალხო გმირთა „საქმენი საგმირონი". მან მტკიცედ გადაწყვიტა ყოფილიყო ქართული არმიის ოფიცერი, სკოლის დამთავრებისთანავე სამხედრო აკადემიას მიაშურა. ქართული ენისა და ლიტერატურის წერით გამოცდაზე შემთხვევით არ აურჩევიათ თემა სათაურით „გმირნო, მამულის მადიდნო", შედეგიც ფრიადი დაიმსახურა.

1997 წელს გიორგი მიავლინეს ამერიკაში, სადაც გაიარა სწავლება „პარტნიორობა მშვიდობისათვის" ლუიზიანის შტატში.

სამხედრო აკადემიის დამთავრების შემდეგ ჰქონდა სხვადასხვა შეთავაზებები, მაგრამ გიორგი მტკიცედ იდგა გადაწყვეტილებაზე: "საველე მეთაური უნდა გავხდე". ამის შემდეგ იმსახურა ქ. ქუთაისის 21-ე ბრიგადაში ჯერ ოცეულის მეთაურად, მალე დაწინაურეს და ასეულის მეთაურად დანიშნეს.

2001 წელს კი გიორგი გერმანიას ეს-ტუმრა, სადაც გაიარა გერმანული ენის შემსწავლელი 6-თვიანი კურსი, აქვე მოტომსროლელი ასეულის მეთაურის სასწავლო კურსიც. სამშობლოში დაბრუნებული კვლავ 21-ე ბრიგადის მზვერავთა დანაყოფს ჩაუდგა სათავეში. პანკისის ანტიტერორისტული ოპერაციის დროს მზვერავთა ოცეულს მეთაურობდა ომალოში.

ამჟამად კი, უფროსი ლეიტენანტი გიორგი მეშველიანი მსახურობს ბატალიონში, რომელიც მალე მიემგზავრება გერმანიაში და ამ ქვეყნის სამხედრო შენაერთთან ერთად გაემგზავრება კოსოვოში სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად.

ასე რომ, გიორგი იშვიათი შემართებით, მისხალ-მისხალ იქმნის იმიჯს, ჩვენი მხრიდან კი წარმატებებს ვუსურვებთ და ამასთან გული სიამაყით გვევსება, როცა თქვენნაირ ახალგაზრდებში ვხედავთ ერის უძველეს ძალას.

ეკა გენდელიანი

დღეს, მართლაც გმირობის ტოლფასია გაიარო ეტაპი სამხედრო სავალდებულო სამსახურისა და ყოველწუთს გქონდეს ყურადღება მიპყრობილი სამშობლოს სადარაჯოზე.

დათო ჯიმშერის ძე ახვლედიანი სოფ. ნასპერში დაიბადა. 2002 წლის 26 აგვისტოს იგი საშადრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს. ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხა „საარტილერიო ბატალიონში".

სამხედრო დავალების შესასრულებლად 28 სექტემბერს დათო პანკისის ხეობაში წავიდა საბრძოლველად. რამდენი გაჭირვება, რამდენი პრობლემა აწუხებს დღეს ჯარისკაცს, მაგრამ როგორც თავად ამბობს: „ჯარისკაცისთვის გაჭირვება არ არსებობს.



ეს მიზეზია... ყველანაირი გაჭირვება უნდა გამოსცადო".

დათო ამჟამად მივლინებულია 21-ე ქვეითი ბრიგადის სამედიცინო ასეულში, სადაც გადის სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

გვინდა, დიდი მადლიერება გამოვხატოთ დათოს მშობლების, პედაგოგებისადმი შრომისმოყვარე, ზნეობრივად ჩამოყალიბებული ადამიანის აღზრდისათვის.

ღმერთმა გვიმრავლოს მსგავსი ახალგაზრდები.

ბ. ბიორხელიძე

21-ე ქვეითი ბრიგადის სამედიცინო ასეულის მეთაური, სამედიცინო სამსახურის უფროსი მაიორი

დედა — ამაღლებული

გაზაფხულის შემობრძანება, რომელიც სიცოცხლის საწყისის__დედის დღით იწონებს თავს, ცაგერის საშუალო სკოლაში ჩვეულად იდღესასწაულეს.

პედაგოგები, მშობლები, განათლების განყოფილების გამგე, მოწვეული სტუმრები__აი კრებული, რომელიც სკოლაში მისულებს დაგვხვდა და, რა თქმა უნდა, სკოლის აღსაზრდელები, რომლებიც მათთვის მილოცვებს და ლამაზ სიტყვებს არ იშურებდნენ.

გოგონებმა და ვაჟკაცებმა მრავალი ლექსი და სიმღერა უძღვნეს სტუმრებს, წარჩინებული მოსწავლეები ამჯერად თავიანთ არტისტიზმს წარმოგვიდგენდნენ.

თითქოს კვლავ ამ სკოლის მოსწავლედ ვიგრძენი თავი, ამ მხიარული ბავშვების მდგომარეობა გავითავისე, ასეთ მშვენიერ ზეიმში მონაწილეობა ხომ დიდი პატივია.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ცაგერის საშუალო სკოლის დირექტორი ქალბატონი ნუნუ ჩაკვეტაძე, რომელიც ამ ზეიმის მთავარი სულისჩამდგმელი და მასპინძელი გახლდათ.

სკოლიდან წასული პენსიონერი მასწავლებლებიდან თბილი სიტყვებით ქალბატონი ლილი ლარცულიანი გამოეხმაურა დარბაზს.

დედის დღე მოგვილოცეს სკოლის დამსახურებულმა პედაგოგებმა დუდუშა გორგასლიძემ და ჩიტო ჩაკვეტაძემ, სასამართლოს თავმჯდომარემ ლეილა გურგუჩიანმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა ავთანდილ სილაგაძემ.

საღამოს წამყვანი და მონაწილე გახლდათ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი დავით ცვარიანი, რომელიც დღესაც ისეთივე საყვარელი მასწავლებელია, როგორც წლების წინ. დათო მასწავლებელმა ზეიმის ბოლოს სკოლის სიამაყის, ვაჟთა გუნდის მიერ შესრულებული „მრავალჟამიერის" ფონზე ლექსი „ივერია" წაიკითხა და შექმნილი მშვენიერი განწყობა გაგვიორკეცა.

დათო ცვარიანთან ერთად მოსწავლეთა მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს პედაგოგებმა: მარინე ჩაჩხიანმა, ელვარა ბურჯალიანმა, ლალი ჩიქოვანმა, მუსიკალურ გაფორმებაში__რუსუდან ყურაშვილმა და იზა ხეცურიანმა, საღამოს მეტად გალამაზებაში კი მშობლებმა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, ჩვენო პედაგოგებო, გაზაფხულის შემობრძანებას და მთავარს, აღსაზრდელთაგან სიყვარულს და თქვენი ღვაწლის დაფასებას გისურვებთ.

თამარ დავითულიანი

ქალი-ალიმის მთავარი თემა...

გაზაფხული საოცრად ემგვანება ქალის ბუნებას__ჭირვეულია, თუმც ლამაზი. ალბათ ამანაც განაპირობა ქალთა დღეებისადმი მიძღვნილი დღესასწაულების სიუხვე მარტის თვეში.

მარტის ღონისძიებაც ცაგერის საარაიონო კულტურის სახლში ამ „მიზეზმა" გამოიწვია.

საღამო კულტურის სახლის დირექტორს, მშვენიერ და ენერგიულ, თითქმის უცვლელ წამყვანს დარეჯან საღინაძეს მიჰყავდა, რომლის დატვირთვაც უდიდესი გახლდათ ამ ღონისძიებაში. მიუხედავად ბევრი პრობლემისა, მან შეძლო საღამო ლამაზი და ხალისიანი ყოფილიყო.

ვაჟთა ანსამბლ__„ლეჩხუმის" (ხელმძღვანელი ზაზა ყურაშვილი) მიერ შესრულებულ ჰანგებს შეუძლებელია უემოციოდ უსმინო. საოცარი სიზუსტით შესრულებული თითოეული ბგერა, რასაც ხელს უწყობდა რუსუდან ყურაშვილის და სპარტაკ კვირიკაშვილის უნიკალური აკომპანიმენტი დარბაზს ეფინებოდა და თვალზე ცრემლსაც მოგგვრიდათ.

ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი „ჭიტა-ჭიტელების" ძველი და ახალი თაობა ლამაზი ცეკვით, უმშვენიერესი სიმღერებით, რომლებსაც პედაგოგ მზია ცხადაიასთან ერთად ამზადებენ და კულტურის სამხატვრო ხელმძღვანელის მანანა კოპალიანის მიერ მომზადებული ლექსით თავისთავად ხიბლს მატებდა ღონისძიებას.

ცეკვის ანსამბლმა „ლეჩხუმმა" კი (ქორეოგრაფი ჯიმშერ მეშველიანი, ზურაბ ჩანქსელიანი) მაყურებელთა დიდი სიმპათია დაიმსახურა.

რაიონის გამგებელმა ზურაბ ხეცურიანმა დღესასწაული მიულოცა ქალბატონებს და სარაიონო კულტურის სახლს დახმარება აღუთქვა მოძველებული აპარატურის გასაახლებლად.

რაიონის კულტურის განყოფილების გამგემ დავით სანთელაძემ ჩვეულ ორიგინალურობას არც ამჯერად უღალატა და მშვენიერი სიტყვები არ დაიშურა ქალბატონებისათვის.

ყველა ქალბატონს და ყველა დედას ვულოცავთ გაზაფხულის დადგომას, ღვთის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეთ ძვირფასო ქალბატონებო!

მადონა ბერიძე

ცაგერის რაიონის საკრებულოს გადაწყვეტილება 2003 წლის რაიონული ბიუჯეტის შესახებ

2003 წლის 27 თებერვალს ჩატარებულმა საკრებულოს სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება 2003 წლის რაიონული ბიუჯეტის შესახებ.

2003 წლის რაიონული ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში მიღებულ იქნას ტრანსფერების გარეშე 358,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ხარჯების ნაწილში__1385, 0 ათასი ლარის ოდენობით, დეფიციტის ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 1027,0 ათასი ლარით, ცაგერის რაიონისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოსაცემი თანხა 1128 ათასი ლარის ოდენობით.

ცაგერის რაიონის 2003 წლის რაიონული ბიუჯეტის ხარჯები

			მათ შორის															
	ხარჯების დასახელება	საშტატო განაკვეთი	სულ	მ/შ ტრანსფერტი	შრომის ანაზღაურება	დარიცხვა	მივლინება	ოფისი	კომუნალური	კვება	მედიკამენტი	რბილი ინვენტარი	ტრანსპორტის შენახვა	სპეც. პროგრამა	სხვა ხარჯები	სოფლისა	სოც. დახმარება	კაპ. დანახარჯები
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
1	ეკონომიკური დაფინანსება		41,0	25,0	5,3	2,7										8,0		25,0
	მ/შ საბინაო კომუნალური		9,0		5,3	2,7										1,0		
	მოსახლეობის სასმელი წყლით															5,5		
	მომარაგება		5,5															
	საბინაო და სხვა. ღონ.		1,5													1,5		
	წყალსადენი და ნაპირსამ.		25,0	25,0														25,0
2	სულ სოც. კულტურული ღონისძიებები		1096,3	937	542,3	199,5	10,2	11,0	10,7	24,0		3,5	3,5	85,5	7,6		15,0	183,5
	ა. განათლება		740,0	719	431,9	154,1	3,0	5,0	7,0	17,0		1,5	3,5		4,0			113,0
	მ/შ სპორტსკოლა																	
	ბ. კულტურა სულ		187,0	147	92,5	37,0	2,0	2,5	2,0			0,5		3,0	2,0			45,5
	მ/შ კულტურა																	
	მუსიკალური		14,5	14,0	10,7	3,3		0,5										
	სამხატვრო		5,5	5,0	3,8	1,4		0,3										
	გ. სპორტი		35,0	25,0	2,0	1,0	4,0	1,4							1,6			20,0
	დ. ჯანდაცვა		87,5	46,0										82,5				5,0
	მ/შ მუნიციპალური პრ.		70,0											70,0				
	აქედან სამედიცინო																	
	დაზღვევის კომპან.		49,0											49,0				
	საზ. ჯანდაცვა		9,0											9,0				
	სანეპიდსადგური		9,0											9,0				
	სამს. მიწერის ხარჯვა		1,4											1,4				
	სამხედრო სამს. გაწვევის ხარჯი		1,6											1,6				
	სხვა ღონისძიებები		17,5											12,5				5,0
	ვ. ვეტ. სამსახური		11,1		5,9	3,2	0,5	1,0	0,5									
	სულ სოც. დახმარება		35,7		10,0	4,2	0,7	1,1	0,7	4,0							15,0	
	მ/შ სოც. დახმარების																	
	განყოფილება		14,7		8,8	3,9	0,7	08	05									
	უმწეოთა სასადილო		5,5		1,2	0,3				4,0								
	ლტოლვილთა ხარჯი		2,0														2,0	
	ომის ვეტერანთა დახმარება		8,0					03	02									
	უხუცესთა დახმარება		0,5														7,5	
	მატერიალური დახმარება		5,0														5,0	
3																		
4	არქივი		5,7		2,5	1,2	03	1,2	0,5				3,5					
	კომისარიატი		10,0		3,1	1,2	1,0	0,8	0,4									
5	სამხედრო განყოფილება																	
	სამართალდამცავი ორგანოები		38,0		22,5	4,6	0,8	3,4	2,7			0,5	3,5					
	მ/შ პოლიცია		8,5		5,7	-	0,3	1,5	1,0									
	სახანძრო		27,5		16,3	4,4	0,3	1,2	1,3			0,5	3,5					
	მმაჩის ბიურო		2,0		0,5	0,2	0,2	0,7	0,4									
6																		
	მმართველობა სულ		84,7	65,0	38,4	14,2	6,5	8,6	4,4			0,6	8,5		0,5			3,0
	მ/შ გამგეობა		51,7		22,0	8,2	3,0	5,0	2,0			0,5	8,0					3,0
	საკრებულო		1,0				0,5	0,2	0,3				0,5					
	სოფლის მეურნეობა		8,0		5,2	1,9	03	03	03				19,0					
	კულტურის აპარატი		2,1		0,8	0,2	0,5	03	03									
	საფინანსო განყოფილება		15,6		8,4	3,0	1,2	1,6	0,8			0,1			0,5			
	ტექ. ბიურო		3,4		2,0	0,9	-	0,3	0,2									
7	ლტოლვილა განყოფილება		1,3				0,5	0,5	0,3									
	პრივატიზაციის განყოფილება		1,6				0,5	0,4	0,2									
	სპეცხარჯები		7,0		2,9	0,7	0,3	2,7	0,4									
8																		
9	რეზერვი		6,0												6,0			
	სხვა ხარჯები		23,7		2,9	1,0	0,2	0,3	0,4						12,2	6,7		
	მ/შ მიწათმოწყობა		2,0												4,0	2,0		
	ბანკის მომსახ. %		4,0												1,8			
	ახალგაზრდ. დეპარტამენტი		4,0		0,9	0,4	0,2	03	0,4									
	ხანძარსაწ. დაზღვევა		5,0												5,0			
	დეპუტატის ბიურო		2,0													2,0		
	სამხარეო ფონდი		1,5													1,5		
	გაზეთი		4,0		2,0	0,6									1,4			
	ეკლესია																	
	მეტეო-სადგური		0,8													0,8		
	არქ. მშენ. ინსპექცია																	
	გადასაცემი ტრანსფერი																	
	სტატისტიკა		0,4													0,4		
	სულ რაიონული ბიუჯეტის ხარჯი		1312,4	1027	619,9	225,,1	19,3	28,0	19,5	24,0		4,6		85,5	26,3	14,7	15,0	211,5
	თემის ბიუჯეტ. გადასაც.		72,6															
	სულ ხარჯები		1385,0															

ცაგერის რაიონის საკრებულოს სპიკერი ბ. გუბავა
რაიონის გამგეობის აპარატის უფროსი ნ. ტვილდიანი

ცაგერის რაიონის 2003 წლის რაიონული ბიუჯეტის შემოსავლები

№	შემოსავლების დასახელება	საგადასახადო ბაზა	ანარიცხები ადგილობრივი ბიუჯეტის		ანარიცხები რაიონულ ბიუჯეტში	
			%	თანხა	%	თანხა
1	2	3	4	5	6	7
I	საგადასახადო შემოსავლები	448,7		407,5	–	333,2
1	საშემოსავლო	230,0	85	195,5	–	143,5
	მ/შ პრეზუმციული	17,7	85	15,0	50	7,5
2	მოგება	27,0	85	23,0	100	23,0
3	მიწის გადასახადი	13,0	100	13,0	30	3,9
	მ/შ სასოფლო-სამეურნეო	-	-	-		-
	არასასოფლო-სამეურნეო	13,0	100	13,0	30	3,9
4	ბუნებრივი რესურსები	120,0	100	120,0		108,0
	მ/შ წყლის რესურსი	10		10		10,0
	ტყის რესურსი	110,0		110		98,0
5	ქონების გადასახადი	40,0	100	40,0	100	40,0
	მ/შ ფიზიკური პირთა	-	-	-	-	-
	საწარმოთა ქონების	40,0	100	40,0	100	40,0
6	გადასახადი ქონების	1,0	100	1,0	100	1,0
	გადაცემისათვის					
	მ/შ უძრავი ქონების	02	02	02		0,2
	გადაცემა					
	მემკვიდრ. და ჩუქება	03	03	03		0,3
	ავტოტრანსპორტ.	05	-	05		0,5
	გადაცემის	-				
7	ადგილობრივი	15,0	100	15,0	100	13,8
	გადასახადები					
	მ/შ ეკონომ. საქმიანობისათვის	13,8	100	13,8	100	13,8
	საკურორტო	1,2	100	1,2	100	-
	სასტუმრო					
II	**მოსაკრებლები**	3,0	100	3,0	100	1,8
1	სარეგისტრაციო	0,5		0,5		0,5
	მოსაკრებლები					
2	სახელმწიფო ბაჟი	0,9		0,9		0,2
3	მოსაკრებელი	0,5		0,5		0,5
	მშენებლობის					
	დაწყების					
	ნებართვისათვის					
4	გარე ვაჭრობის	0,5		0,5		
	ნებართვისათვის					
5	არქიტექტურული	0,6		0,6		0,6
	ობიექტის სტრუქტურულ ფუნქციური					
	წყობისა და იერსახის					
	შეცვლისათვის					
III	**არასაგადასახადო შემოსავლები**	32,1		23,0	100	23,0
1	მ.შ. სახელმწიფო	22,1		13,0	100	13,0
	ქონების					
	პრივატიზაცია					
2	მიწის იჯარა	1,5		1,5	100	1,5
3	საგზაო მოძრაობის	1,5		1,5	100	1,5
	წესების					
	დარღვევისათვის					
4	სპეცსახსრები	7,0		7,0	100	7,0
	სულ საგადასახადო	483,8		433,5		358,0
	და არასაგადასახადო					
	შემოსავლები					
	ტრანსფერი	1128		1128,0		1027,0
	მ.შ. სოცღონისძიებები	928		928		827,0
	სპეცღონისძიებები	200		200		200,0
	შემოსავლების ჯამი	1611,8		1561,5		1385

ცაგერის რაიონის საკრებულოს
სპიკერი ბ. გუბავა
რაიონის გამგეობის აპარატის
უფროსი ნ. ტვილდიანი

ვაზიარეთ ეკლესიის შვიდ საიდუმლოს

ვაგრძელებთ ჩვენს რუბრიკას ეკლესიის შვიდ საუდუმლოთა გაცნობის მიზნით. ამჯერად, მამა ანტონმა არჩევანი მირონცხების საიდუმლოზე შეგვაჩერებინა და მასალა კვლავ ეპისკოპოს ალექსანდრეს (სემიონოვ-ტიან-შანსკი) კატეხიზმოს მიხედვით მოგვაწოდა.

მირონცხების საიდუმლო

მირონცხება არის საიდუმლო, რომელშიც მორწმუნეს მისი სხეულის წმინდა მირონით ცხებისას სულიწმიდის ნიჭი ეძლევა მისი სულიერი ცხოვრების განწმენდის, განმტკიცებისა და ამაღლებისათვის.

სულიწმიდის მადლის გადაცემა ყველა საიდუმლოში ხდება, მაგრამ უპირატესად მირონცხება სულიწმიდის საიდუმლოა. იგი ამთავრებს ნათლისღებას. იქ—სულიერი შობაა, აქ კი სულიერი ზრდა. შექმნა რა ადამიანი ღმერთმა, მას სიცოცხლის სული შთაბერა, ხოლო როცა თავისი ძის მეშვეობით ადამიანთა ხსნა აღასრულა, ერგასის დღეს მათ სულიწმიდა მოუვლინა. ასევე ნათლისღების, ამ სულიერად შობის შემდეგაც, სულიწმიდა ადამიანს მირონცხების მეშვეობით განსაკუთრებული სახით ეგზავნება. ამგვარად, ეს საიდუმლო ეკლესიაში ახლადშესული ადამიანისათვის პირადი ერგასის დღეა.

ეკლესიის მოძღვარნი მირონცხების საიდუმლოში გარდამავალ სულიწმიდის უამრავ ნიჭთა შორის, უპირველეს ყოვლისა, ძირითადს—კურთხევის ნიჭს არჩევენ, რომელიც როგორ ღვთის მსახურებისათვის ხელასხმა ისე მიიღება. მისი წყალობით ადამიანის სამეფო სამღვდელოების რიგებში შედის და რჩეულ ერში (1 პეტრე 2,9), ე.ი. ეკლესიაში ირიცხება. ეს იმაში გამოიხატება, რომ მირონცხებულს გზა ყველა სხვა საიდუმლოში მონაწილეობისათვის ეხსნება.

სულიერი ცხოვრება განუხრელი სულიერი ზრდა და აღმასვლაა. სული წმიდა, ხელს უწყობს რა ამას, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიის მოძღვრების ათვისებაში, ესე იგი, სიბრძნის ზრდაში გვეხმარება, რადგანაც, მოციქულის თქმით:

„უფროჯს არს ღმერთი გულისა ჩუენისა და იცის ყოველი“ (1 იოანე 3, 20). იგი აკურთხევს გრძნობებსა და ნებას, რომლებზეც ადამიანის საქციელია დამოკიდებული.

მირონცხების საიდუმლოს შესრულება

მირონცხების საიდუმლო ადამიანისათვის შუბლზე, თვალებზე, ნესტოებზე, მკერდზე და ბოლოს ხელებსა და ფეხებზე მირონის ცხებით სრულდება. უმაღლესი შთაგონება, სულიწმიდა, აღაფრთოვანებს ადამიანს წმიდა ცხოვრებისათვის და თავისი ძალით მასში აღაგზნებს სწრაფვას ღვთისაკენ, როგორც პირველხატისაკენ, რაშიც ყველაზე მეტად ვლინდება, რომ ადამიანი ღვთის ხატადაა შექმნილი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, „ქრისტიანული ცხოვრების მიზანი სულიწმიდის მოხვეჭაა“ (ღირსი სერაფი საროველი), ეს მიზანი კი ადამიანის ცხოვრების გამუდმებული გასულიერებით მიიღწევა, რასაც საფუძველი სწორედ მირონცხების საიდუმლოში ეყრება. სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე მირონის ცხებისას მღვდელი ყოველ ცხებაზე წარმოთქვამს: „ბეჭედი ნიჭისა სულისა წმიდისა“. ეს ბეჭედი არის ნიშანი იმისა, რომ ადამიანი ღვთისა გახდა. ზოგჯერ ამ მღვდელმოქმედებას ძვირფასი ნელსაცხებლით ანდა ღვინით სავსე ჭურჭლების დაბეჭდვას ადარებენ, რადგან ქრისტიანი მართლაცდა ყოველთვის უნდა რჩებოდეს მადლის სათავსოდ და სულიწმიდის სადგომად. პავლე მოციქული ამის შესახებ წერს: „არა უწყითა, რამეთუ ხორცნი ეგე თქუენნი, ტაძარნი თქუენ შორის სულისა წმიდისანი არიან, რომელ-ეგე გაქუს ღმერთისაგან და არა ხართ თჳსთა თავთანი? რამეთუ სასყიდლით სყიდულ ხართ. ადიდეთ უკუე ღმერთი ხორცითა მაგით თქუენითა, რომელი იგი არს ღმრთისაჲ“. (1 კორ. 6, 19-20).

სულიწმიდის აურაცხელ ნიჭთა შორის უმაღლესი ქრისტიანული სიყვარულია. რასაკვირველია, მირონცხების საიდუმლოს მეშვეობით ქრისტიანის სულში ღვთაებრივი სიყვარული და მასთან ერთად „სიხარული, მშვიდობაჲ, სულგრძელებაჲ, სიტკოებაჲ, სარწმუნოებაჲ, მყუდროებაჲ, მარხვაჲ, მოთმინებაჲ“ (გალატ. 5,22-23) და ნუგეშინისმცემელი სულის უამრავი სხვა ნაყოფიც ჩაითესება. ლოცვაში, რომლითაც მირონცხების საიდუმლო იწყება, ეკლესია მრავალ მათგანს ითხოვს. ამავე ლოცვაში ეკლესია საიდუმლოს მიახლებისათვის უფლის ხორცთან და სისხლთან ზიარების შესაძლებლობას გამოითხოვს.

ძველ დროში ახლადნათელღებულნი და მირონცხებულნი დიდი შაბათის ლიტურგიაზე წმიდა ზიარებას მაშინვე მიეახლებოდნენ, რის საფუძველზე დიდი შაბათის სამოციქულო და სახარება ჩვენს დროშიც წმიდა მირონის ცხების შემდეგ იკითხება. ორივე საკითხავი ერთნაირად ეხება ორივე შესრულებულ საიდუმლოს. სამოციქულო: რომ 6,3-11; სახარება: მათე 25,6—20.

საიდუმლო—მთავრდება მღვდლის, ნათლობისა და ახლადმონათლულის სამგზიხ შემოვლით ემბაზის გარშემო. წრე მარადიულობის სიმბოლოა, ამიტომ ეს წესი შესრულებული საიდუმლოს საუკუნო ძალას აღნიშნავს. თანამედროვე პრაქტიკაში მირონცხების საიდუმლოს ახლადმონათლულის განბანვა (მირონისაგან) და თმის შეკრეჭა ერთვის, რომელიც წინათ მხოლოდ 8 დღის შემდეგ სრულდებოდა. პირველ წესს ახალი ქრისტიანი ჩვეულებრივ ცხოვრებაში იმ დიდი ამბის შეხსენებით შეჰყავს, რაც მას გარდახდა, ხოლო თმის შეკრეჭა ღვთისათვის თავის შეწირვის მზადყოფნას გამოხატავს.

ისტორიული მონაცემების მიხედვით, მირონცხების საიდუმლო თავდაპირველად ეპისკოპოსის ხელდასმით სრულდებოდა. მოგვიანებით კი აღმოსავლეთში, იმის გამო რომ გასავლელი მანძილი დიდი იყო, ეპისკოპოსებმა დაიწყეს ზეთის კურთხევა და მისი გადაცემა მღვდელთათვის საიდუმლოს შესასრულებლად. ამჟამად მირონი (ზეთისხილის ზეთისაგან, განსაკუთრებულ ნელსაცხებელთა დართვით) პატრიარქის მიერ საგანგებო წესით დიდ ხუთშაბათს იკურთხევა.

თამარ დავითულიანი

ახალი საფეხური — ახალი ვარსკვლავები

„ქართული გენია როკვით განფენილი“—ეს ის სიტყვებია, რომლის წარმოთქმა ტანში ერუანტელს გგვრის და გაგრძნობინებს, რომ ქართული ქორეოგრაფია, ეროვნული ცეკვები, მისი ყოველი ილეთი, ყოველი მოძრაობა-უდიდესი საუნჯეა ჩვენი ქვეყნისათვის. ამ საუნჯის შენარჩუნებას კი დიდი შრომა და ჯაფა სჭირდება. საბედნიეროდ, ჩვენს გვერდით იმყოფებიან ადამიანები, პროფესიონალები, რომლებიც ქართულ ხელოვნებასა და თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებულები არიან და ჩუმად, უხმაუროდ, აფიშირების გარეშე, უმეტეს შემთხვევაში დიდი ენთუზიაზმით, დაუღალავად ემსახურებიან ერს, მშობლიურ კუთხეს, მომავალ თაობებს...

ყველაფერი კი ასე დაიწყო...

ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლეჩხუმი“ ოცი წლის წინ ჩამოყალიბდა. ანსამბლს ყველასათვის საყვარელი ქორეოგრაფები ჯიმშერ მეშველიანი და აწ გარდაცვლილი მურთაზ დაშნიანი ხელმძღვანელობდნენ. მათი ინიციატივითა და დაუღალავი მოღვაწეობით ბევრი წარმატება მოიპოვა „ლეჩხუმმა“.

პირველ დიდ წარმატებას ანსამბლმა 1985 წელს მიაღწია, რუმინეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე მან I ხარისხის დიპლომი და ლაურეატის წოდება დაიმსახურა. რუმინეთის რესპუბლიკაში მრავალფეროვანი ხელოვნების ღირსეულად წარმოდგენის შემდეგ იყო მიწვევა ბულგარეთის ბავშვთა ფოლკლორულ ფესტივალზე, სადაც კვლავ წარმატება ხვდათ წილად...

1992 წლიდან ანსამბლს ჯიმშერ მეშველიანთან ერთად ქორეოგრაფი ზურაბ ჩანქსელიანი ხელმძღვანელობს. 2000 წელს „ლეჩხუმი“ მონაწილეობდა საქართველოს კულტურის სამინისტროს, ტელევიზიის II არხის და სახელმწიფო ფილარმონიის ფოლკლორისა და საესტრადო მუსიკის საამწვილო-ახალგაზრდულ სატელევიზიო ფესტივალში „ოქროს მართვე“. წარდგენილი იყო ცეკვა „სვანური“, რომელსაც ფესტივალის ლაურეატობა მიენიჭა, ანსამბლის წევრები I ხარისხის დიპლომებითა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ. ხოლო ანსამბლის ხელმძღვანელები ჯიმშერ მეშველიანი და ზურაბ ჩანქსელიანი—პრიზით „გამორჩევით ეროვნული ქორეოგრაფიისათვის“.

„ეს სილამაზისა და წარმტაცი სახაობის წარმოდგენა გახლავთ. პატარა გოგონებმა ქართული ცეკვის ნამდვილი ზეიმი გამართეს. ბიჭების ცეცხლოვან ცეკვებს ქალების მომხიბლავი ტრიალი ენაცვლებოდა და მათი საერთო ფერხული მაყურებელთა აღტაცებას იწვევდა.

ფერხულში ერთობ მოულოდნელად გამოჩნდა საბრძოლო ხორუმის ელემენტების შემოტანა, მაგრამ როდესაც ხორუმის კოშკის კედელი გაიშალა და თითქოს გარღვეული ქონგურებით მხიარული ქალ-ვაჟები გამოიშალნენ, მაყურებელმა იგრძნო, რომ ეს გამარჯვების ზეიმი იყო“—ასეთი შეფასება მისცა „ოქროს მართვე 2001 წლის“ ჟიურმა ანსამბლ „ლეჩხუმის“ მიერ მაღალმხატვრულად წარმოდგენილ ხალხური ცეკვის სინატიფეს.

შედეგად კი ფესტივალში გამარჯვებულებს გადაეცათ ბულგარეთის საერთაშორისო ფესტივალის საგზური. მაგრამ ამ უკანასკნელის შედეგი სამწუხაროა უსახსრობის გამო ვერ მოახერხეს ბულგარეთში გამგზავრება. ანსამბლის ხელმძღვანელები დაჯილდოვნენ ილიკო სუხიშვილის სახელობის პრიზით, ოქროს არწივითა და I ხარისხის დიპლომით.

ანსამბლი მონაწილეობს საქართველოს ქორეგორაფიის მოღვაწეთა კავშირის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმ, ქვემო სვანეთის რეგიონალურ დათვალიერებაში. როგორც ქორეოგრაფმა ზურაბ ჩანქსელიანმა, ჩვენთან საუბარში აღნიშნა, „ყველაზე დიდი მონაპოვრად მიაჩნია ხალხური ცეკვების მე-3 რესპუბლიკურ კონკურსში წარმატებული მოღვაწეობისათვის I ხარისხის დიპლომით დაჯილდოება.

ანსამბლ „ლეჩხუმს“ წარმატებული, ნაყოფიერი წარსული და აწმყო აქვს, დარწმუნებულები ვართ წარმატებულ მომავალში... მაგრამ რამდენი პრობლემა... უმთავრესი კი ფორმებია... „ფორმები 20 წლის წინ არის შეძენილი... ეს უმთავრესი პრობლემაა... უფრო დიდ წარმატებები გვექნებოდა, თანამედროვე სტილის საცეკვაო კოსტიუმები რომ გვქონდეს. მადლიერება მინდა გამოვხატო რაიონის გამგებლის ბატონ ზურაბ ხეცურიანისა და კულტურის განყოფილების გამგის ბატონ დავით სანთელაძისადმი თანადგომისა და გაწეული დახმარებისათვის“—აღნიშნა ქორეგორაფმა ზურაბ ჩანქსელიანმა.

როცა უცქერ ანსაბლ „ლეჩხუმის“ მონაწილეების მიერ ცეკვების ხალას შესრულებსა, და ქართული ხასიათის საცეკვაო ხელოვნების გადმოცემის უნარს, რწმუნდები—ქართული გენი ცეკვითაა განფენილი და მათ ყოველ წარმატებას „ყოველ სიხარულს თუნდაც წამიერს, გულში ზეიმად დავიტრიალებთ“.

ეკატერინე ბენდელიანი

გვიდოდეთ მამაკაცები

(დასასრული)

ბექან ღურჭუმალიძე:

კითხვა, ცოგა არ იყოს, მოულოდნელია. ორიოდე სიტყვით ძნელია ამოწურო ქალის ფენომენზე საუბარი. მომენტში ქალისთვის შეიძლება მოკვდეს კაცი, მაგრამ ამ სქესის ფენომენზე საუბარი ცოგა ძნელია. ქალში თავსდება უამრავი დადებითი თვისება და ქალშივე იყრის თავს უკიდურესად უარყოფითი თვისებები. ეზოპემ თავის დროზე თქვა: „მოერიდეთ სამ სგიქიას: ცეცხლს, წყალს და ქალს...“ ვფიქრობ, გენიალურია, და იმასაც ვფიქრობ, რომ მამაკაცები სულ ტყუილად იქადიან უპირატესობას, ბატონკაცობას. ძალიან იოლად ხომ ისინი ხშირად საყვარელი, მშვენიერი ქალის მორჩილებაში ექცევიან.

კარლო კვირიკაშვილი:

ურთულესი დატვირთვა აქვს შეკითხვას. ქალში ღვთაებრივი შერწყმაა სილამაზის, სიყვარულის, სიხარულის, ბედნიერების. იგი მართლაც ღვთისგან მოვლენილი სასწაულია და მისი მხოლოდ ტლანქ ნატურალიზმს არ გაეგება.

ქალს დედის ფენომენიდან უნდა შეხედო. იგი სიცოცხლის წყაროა. რწმენის, იმედის, სითბოს სიმბოლოა.

მამაკაცი ყოველთვის, ყოველ წუთს უნდა გამოხატავდეს ქალისადმი პატივისცემას. ქალს მხოლოდ კეთილი ფოკუსიდან უნდა უყურო. არ მწამს იმ კაცისა, რომელიც ქალთან მიმართებაში ანგარიშსწორებას უყურებს.

პრობლემების დახუნძლულ გზაზე ქალს იშვიათი შემარეთებით შეუძლია მეგობრობა, თანადგომა, თანაგრძნობა გაგიწიოს.

მერაბ მეშველიანი:

როცა ქალზეა საუბარი ჩემთვის ეს ასე ასოცირდება—სათავე ყოველგვარი სიკეთისა, განაყოფიერებისა და შთამომავლობის გადარჩენისა. ქალი—ბებია, დედა, ქალი—მეუღლე საგრფო, მეგობარი, ქალი, როგორც გაზაფხული და მშვენიერება.

თუკი რამ დადებითი ემოციები მაქვს, ყველაფერი ქალის ფენომენთანაა დაკავშირებული. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი—ეს არის ამოუწურავი თემა, ნებისმიერ მამაკაცს შეუძლია ამ თემაზე დღედაღამ დაუსრულებლად ისაუბროს და რაც მთავარია ყოველთვის დადებითი ემოციებით.

სენსაციაა, ატა?

გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როცა ხელთ ჩაგვივარდა სენსაციური დოკუმენტი, რომლის თანახმად თურმე ლეჩხუმში ცხოვრობს 122 წლის ანუ სამი საუკუნის მომსწრე მამაკაცი.

იხილეთ ეს დოკუმენტი

შევეცდებით მომდევნო ნომერში ლეჩხუმელ უხუცესზე მდიდარი მონაცემები მოგაწოდოთ.

რედაქცია.

მოქ. ინდიკო საჩინოს ძე ლეთოდიანს
მცხოვრები სოფელ ქულბაქში
საარქივო ცნობა

ცაგერის რაიონის ქულბაქის სასოფლო საბჭოს საარქივო ფონდის დოკუმენტური მასალებიდან, 1945-1950 წლების საკომლო წიგნიდან ჩანს, რომ მოქ. ინდიკო საჩინოს ძე ლეთოდიანი დაბადებულია 1881 (ათას რვაას ოთხმოცდა ერთი) წელს. საფუძველი: ფონდი 68, საქმე 12, ფურცელი 77, საქმე 18, ფურცელი 80

ცაგერის რაიონული სახელმწიფო არქივი.

დირექტორი ლიპარტელიანი
არქივარიუსი ხეცურიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი

სპორტკომიტეტის ინიციატივით რაიონის სპორტულ ღონისძიებათა კალენდრის მიხედვით, ტარდება სხვადასხვა შეჯიბრებები.

მაშინ რაიონის პირველობაში პირველი ადგილი დაიკავა აფხაზეთიდან ლტოლვილმა ლევან ჩანქსელიანმა, მეორე ადგილი წილად ხვდა მირზა ლიპარტელიანს (სოფ. ქვ. ცაგერი) მესამე ადგილზე გამოვიდა დათო საღინაძე (ცაგერის საშუალოს სკოლა).

ნარდში რაიონულ შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვა აფხაზეთიდან ლტოლვილმა-მევლუდ კოპალიანმა, მეორე ადგილზე გამოვიდა ლევან ჩანქსელიანი (აფხაზეთი),

მესამე ადგილი ერთდროულად მიენიჭა შეჯიბრების ორ მონაწილეს ქვედა ცაგერელ კობა ქომეთიანს და ლასურიაშელ სულხან ჯამბურიძეს.

სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გამოსული პირები დაჯილდოვდნენ სპორტკომიტეტის შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

„ხვამლი“ გამარჯვებებით იწყებს

გრძელდება ფეხბურთი მ. მესხის თასზე რეგიონალური პირველობის მაგჩები ჭაბუკთა გუნდებს შორის.

II წრეში ცაგერის „ხვამლის“ ფეხბურთელთა გუნდმა სამი თამაშიდან სამივე მოიგო.

სტუმრად ქ. ქუთაისში სძლია „იმედს“—1:0 და „მართვე-2“-ს 2:1, ხოლო შინ დაამარცხა „კოლხიდა—2“ 2:0.

ჯერჯერობით „ხვამლს“ საპრიზო ადგილზე გასელის რეალური შანსი გააჩნია.

წინ საპასუხისმგებლო ძნელი თამაშებია, ვუსურვებთ ცაგერის „ხვამლს“ წარმატებებს.

გ. კვირიკაშვილი,
ცაგერის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე

მშობელ მიწაში ყდგათ ფესვები

ჩვენ გვწერენ

მშობლიურ კუთხესთან განშორების გამო აღძრულ ნოსტალგიას, წინაპართა საძვალის მოგონებით გამოწვეულ სევდას, ახლობელ-ნაცნობთა მონატრების გრძნობის დაკმაყოფილებას ქართველი იმით აღწევს თავს, რომ დროდადრო ეწვევა მშობლიურ კერას, გულში ჩაიკრავს მონატრებულთ, მოეფერება, მათ და კმაყოფილი დაემშვიდობება მომავალი შეხვედრის იმედით. საბედნიეროდ, არიან ისეთნიც, რომელთაც იგივე გრძნობები ისე მიჯაჭვავს ხოლმე მშობლიურ ფესვებს, კეთილ საქმეთა აღსასრულებლად განაწყობს.

სწორედ ასეთ მეოცნებე ლეჩხუმელებს ვუძღვნით ამ თბილ სტრიქონებს.

სასახელო შეილთა კარგი საქმეების გამო არა ერთი საქებარი სიტყვა უთქვამთ ზუბელებს. ბატონებს ვალერიან ბენიძეს, ვენედი ბენიძეს, ჯემალ კუხალაშვილს, ჯეირან ჩაკვეტაძეს ლეჩხუმელთა წინაშე წარდგენა ნამდვილად არ სჭირდებათ. ამჯერად მხოლოდ სიკეთეზე მოგახსენებთ, რაც მათ ზუბის საშუალო სკოლისთვის გამოიჩინეს. საკუთარი თანხებით გამოგვიწერეს ჟურნალ-გაზეთები, გასულ სასწავლო წელს პირველ კლასელებს უფასოდ გადასცეს ყველა სასწავლო ნივთი და სახელმძღვანელო. მიმდინარე სასწავლო წლისათვის ჯეირან ჩაკვეტაძემ მათ მიერ შეძენილი 116 სახელმძღვანელო მოგვიგანა საჩუქრად მე-9-მე-10-მე-11 კლასელთათვის.

ზუბის სამუალოს სკოლისთვის ბევრს ზრუნავს სოფელში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენელობის ხაზინადარი ბატონი რეზო ჩაკვეტაძე—ჭეშმარიტად მართლმადიდებელი ქრისტიანი.

ჩვენს სკოლას ერთი დიდებული ქალბატონიც ჰყავს მზრუნველად — იზოლდა ხაინდრავა—ბენიძე, რომელსაც მოყვასისათვის ზრუნვა ცხოვრების კრედოდ გაუხდია. სიკეთის აღქმა და დაფასება კი ყველაზე მეტად ბავშვებს შეუძლიათ.

გმადლობთ, ზნეკეთილო ადამიანებო, ყველაფრისათვის, გმადლობთ!

P.S. *ბატონო ვალერიან ბენიძე — ზუბის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობის თავკაცი პოეტიცაა. სწორედ მშობლიური სოფლისა და წარსულის მოფერებითაა მთაგონებული მისი სტრიქონები.*

გულნაზ ჩაკვეტაძე.
ზუბის სამუალო სკოლის მასწავლებელი

ზუბის ციხეს!

გრანდიოზულო,
ფუძე ძლიერო,
გოროზი ეშხით
ასაკნიერო,
კვლავ მომხიბვლელო
და სახიერო.
რა საიდუმლოს
ინახავ ნეტავ,
რა ზნით გატარა
მრწამსმა და ბედმა.
გაგვიხსენ გული
უთქმელი ნუ ხარ,
ალბათ ის გტანჯავს,
რომ ვეღარ ქუხარ.

გავკადნიერდი,
საკვედურს ვბედავ,
ზუბო—თაკვერო,
ციხეო, დედავ!
მე მესმის კვნესა
მუნჯურ-წუხილი,
ომის ქარ-ცვცხლის
ჯვრ-ქუხილი.
ვხედავ კარს მოდგა
ვიღაც თავხედი,
მორჩილებაზე
შენ არ თანხმდები.

ო, ზუბის ციხევ!
ბევრის მომსწრე ხარ,
ბევრჯერ გითოვდა,
ბევრჯერ გიწვიმდა,
ვინ იცის, რამდენ
მტარვალს გაუძელ,
მოსრე მომხდური,
მოსხე ჰირწინდად.
აღხდქ! იპოვე!
სახელი შენი,
შენ სიდიადის
სიმაცრე ვშეენის.

ვალერიან ბენიძე
21.08.2002 წელი. ზუბი.

ხმა... ოდესღაც

ცა. ნაჭერ-ნაჭერ ღრუბელი, თეთრი, ნაზი...

სასაფლაო. რკინის მოაჯირი, ძეგლი, სკამი, მყუდროება, სიგრილე.

ზის ქალი. მოწყენილი სახე. მუხლებზე წიგნი, კითხვა მიუტოვებია, ფიქრს გაუტაცნია, ბურუსშია თითქოს.

ქალს სამარიდან ესმის ხმა:

ახლა გამაფხულია, ჩყვავის იასამანი შენს მიერ დარგული, მამშვენებს ძეგლი შენს მიერ შექმნილი, ჰგალობს ბულბული შენს მიერ აქ მოყვანილი. შეიძლება, შეიძლება, მაგრამ... მცივა, მცივა...

მაშინ კი შემოდგომა იყო. ჩყვაოდა ჩემში იმედი, შენს მიერ დარგული, მამშვენებდი შენ. სათაყვანო ძეგლად ჩემ მიერ დარდქმნილი. გიგალობდა გული ჩემი ვით ბულბული—იადონი.

ჭეშმარიტი თბილი, მზესხივიანი იყო შემოდგომა. ახლა, ამ გაზაფხულზე ყვავის ვარდი, შენ მიერ დარგული, მამშვენებს ძეგლი შენს მიერ შექმნილი. ჰგალობს ბულბული შენს მიერ აქ მოყვანილი... და...

დგება მკვდრედით შენი გული, ჩემს მიერ დასევდიანებული. მე კი მცივა... მცივა...

ქალი დგება, მიიხედ-მოიხედავს, ნელ-ნელა მიდის, მისდევს ხმა სამარიდან.

საჩდიოს ამჯროსაძე ფუტკარაძე

კიდევ ერთი სამაგალითო პიროვნება გამოაკლდა ლეჩხუმის საზოგადოებას—წავიდა ჩვენგან დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი, არაერთი მედლისა და ორდენის კავალერი, ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე სარდიონ ამბროსის ძე ფუტკარაძე.

სარდიონ ფუტკარაძე დაიბადა 1921 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ლარჩვალში. საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ იგი სრულიად ყმაწვილკაცი დიდი სამამულო ომში გაიწვიეს. ომგადახდილი, მედლებით მკერდდამშვენებული 1946 წელს დაბრუნდა. იმავე წელს ჩაერიცხა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დასრულა 1952 წელს.

ამის შემდეგ იწყება სარდიონ ფუტკარაძის აქტიური სამსახურებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობა. მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორ-პროპაგანდისტად, განყოფილების გამგის მოადგილედ და პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგედ, რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ, ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორად ბუნების დაცვის ცაგერისა და ლენტეხის საარაინთაშორისო ინსპექციის უფროსად, მთავარ მრჩევლად რაიონის გამგეობაში გარემოს დაცვისა და ბუნებით სარგებლობის დარგში.

სარდიონი ყოველთვის გამოირჩეოდა როგორც საზოგადოებრივ დავალებათა აქტიური შემსრულებელი. იგი სიცოცხლის ბოლომდე გახლდათ ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე, გამოცდილებას და ძალისხმევას არ იშურებდა ვეტერანთა პირობების გაუმჯობესებისა და მათი პრობლემების გადასაწყვეტად.

ბატონი სარდიონი დაჯილდოებულ იყო სამამულო ომის პირველი ხარისხის, ღირსების ორდენებით, მედლებით და მთავრობის სხვა ჯილდოებით.

ბატონი სარდიონ ფუტკარაძე სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით, გამოირჩეოდა მაღალი ინტელექტით, კულტურით, ერუდიციით.

წავიდა ჩვენგან ღირსეული მოქალაქე, ღირსეული მუშაკი, შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა, უტყუარი მეგობარი. ალალი ცრემლით გააცილა იგი უკანასკნელ გზაზე რაიონის საზოგადოებრიობამ.

ცაგერის რაიონის გამგეობა, ცაგერის რაიონის საკრებულო

ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე

სარდიონ ამბროსის ძე ფუტკარაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გილოცავთ!

ბაბუცა მუმკულიანს.

ჩვენო ძვირფასო მამიდა!

გილოცავთ დაბადების დღეს. დაესწარით მრავალს ახლობლებთან და აღზრდილებთან ერთად. შემთხვევით არა ხართ დაბადებული 8 მარტს. თქვენ არა მარტო ქალობა, ნაადრევი დედობაც დაგებედათ, დედით ადრე დაობლებულს. იშვიათია ადამიანი, რომელსაც იმდენი ტანჯვა და წვალება გამოევლოს, თქვენ რომ გარგუნათ ბუნებამ.

დაუსწრებლად დაამთავრეთ ფილოლოგიის ფაკულტეტი და ლეჩხუმის სამ სოფელში ერთდროულად ასწავლიდით არა მარტო ქართულ ენასა და ლიტერატურას, არამედ სამშობლოს სიყვარულს, სიკეთეს, ჭირში გამძლეობას, ერთმანეთის გატანას. ამას ზუბის სამუალო სკოლის მასწავლებლის, ბაბუცა მუმკულიანი — ბენიძის აღზრდილები თაობიდან თაობას გადასცემენ. სამი უნიჭიერესი და უკეთილშობილესი შვილი გაუზარდეთ ქვეყანას, მაგრამ თურმე შვილის დაკარგვით გამოწვეული სიმწარეც უნდა გამოგეცადათ. სიცოცხლე აღარ გინდოდა, მაგრამ ისევ შვილებმა და აღზრდილებმა გამოგიყვანეს მდგომარეობიდან. კვლავაც ყველასათვის საჭირო, ხარ, ჩვენო საყვარელო მამიდა: საზოგადოებისთვის, ობოლი შვილებისა და შვილიშვილებისთვის.

იცოცხლე, იყავით დიდხანს, იმათ იმედად, ვისაც ახსოვხართ და უყვარხართ.

ძმისშვილები მაკა და ირინა მუმკულიანები

ინგა დოლბაიას!
თამაგ ბენდელიანს!

გილოცავთ პატარა ქალბატონის დაბადებას. ჯანმრთელი და ტანმრთელი გაგეზარდოთ

ღმერთი გწყალობდეთ!

საქართველოს პარლამენტის წევრის რაიონული ბიუროს აპარატი

რედაქტორი თამარ დავითულიანი	პასუხისმგებელი მდივანი მზევინარ ძნელაძე	სარედაქციო კოლეგია: ეკა ყვირილიანი, მარინა სვანიძე, ეკა ბენდელიანი.	მისამართი: ცაგერი, რუსთაველის №47. ტელ: 22-86	გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის ს/ს „სტამბაში“ ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 33 ტელ:7-07-80, 7-34-99